

თსუ აკადემიურ საბჭოს

ღრმად პატივცემულო აკადემიური საბჭოს წევრებო, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეუძლებელია სხვადასხვა ბუნებრივ ენებში ინტელექტუალური ანუ აზროვნებითი, მათ შორის მთარგმნელობითი უნარებით აღჭურვილი მანქანების (კომპიუტერული სისტემების) შექმნა, ანუ, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეუძლებელია სხვადასხვა ენებისა და ამ ენებით მოცემული სააზროვნო სისტემების ტექნოლოგიზება, ანუ, თუ ფიქრობთ, რომ ამა თუ იმ ბუნებრივი ენის, მათ შორის ბუნებრივი ქართული ენის, ტექნოლოგიური ანბანი უშინაარსო ცნებაა, მაშინ თქვენ ჩემ ამ მომართვას არასერიოზულ განაცხადად ჩათვლით, მე კი - ერთ ვინმე არაადეკვატურ მავანად.¹⁽ⁱ⁾

თუმცა, მე ვფიქრობ, რომ **ბ-ნი რ.ბოჭორიშვილისგან განსხვავებით**, თსუ აკადემიური საბჭო იცნობს და, შესაბამისად, გაითვალისწინებს კიდევ სხვადასხვა ბუნებრივი ენების ტექნოლოგიზების ანუ ამ ენების ტექნოლოგიური ანბანის შემუშავების მიმართულებით დღეს მსოფლიოში უკვე არსებულ მეტად მაღალ შედეგებს და 2003-2007 წლებში თსუ-ში ქართული ენის მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიზების მიმართულებით მოქმედი სასწავლო-სამეცნიერო პროცესების დაბრუნების მიზნით მიმდინარე ჩემ აგერ უკვე 6 წლიან უშედეგო მცდელობებს ბოლოს მაინც შედეგიანად გაასრულებს.

ამგვარად, ქართული ენის სრული და ამომწურავი მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიზების აუცილებლობის, ანუ, თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის “კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში”²⁽ⁱⁱ⁾ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით 2003-2007 წლებში მოქმედი სასწავლო პროცესების თსუ-ში დაბრუნების იმედით მივმართავ თსუ აკადემიური საბჭოს წევრებს - **ქალბატონ ნანი გაფრინდაშვილისა და ბატონ რამაზ ქურდაძეს** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), **ბატონ ზურაბ დავითაშვილსა და ქალბატონ მარიამ გერსამიას** (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), **ბატონებს ფრიდონ თოდუასა და ლავრენტი მანაგაძეს** (მედიცინის ფაკულტეტი), **ქალბატონ მაია კოპალეიშვილსა და ბატონ ნუგზარ სურგულაძეს** (იურიდიული ფაკულტეტი), **ბატონებს ალექსანდრე შენგელაიასა და ელიზბარ ნადარაიას** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), **ბატონ რევაზ გველესიანსა და ქეთევან მარშავას** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), **თსუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე კვიციანიშვილს:**

2010 წლის დეკემბრიდან საკონტრაქტო ხელშეკრულებით ვარ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქართული ენის მათემატიკური დამუშავების მიმართულებით.

¹ როგორც ჩემ წარმოჩენას უკვე წლებია ცდილობს **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ბატონი რამაზ ბოჭორიშვილი**. ასე მაგალითად, 2008 წლის 27 ივნისს ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი თსუ იმდროინდელ რექტორს შემდეგს წერდა: **„ბ-ნ კ.ფხაკაძის მიერ რეალური ვითარების არაადეკვატურ შეფასებას, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დასკვნის ზოგიერთმა არაზუსტმა ფორმულირებამ.“** - სრულად ეს ჩანართი იხილეთ წერილის ბოლოს.

² დანართი_2-ით წარმოდგენილი მასალის საწყის ნაწილში თქვენ ნახავთ იმ მრავალმხრივ მხარდაჭერებს, რაც ქართული ენის დაცვის მიზნით მოქმედ ამ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას წინა წლებში ჰქონდა. - სრულად ეს ჩანართი იხილეთ წერილის ბოლოს.

ამასთან, კონტრაქტით მე მევალება ქართული ენის სრული მათემატიკური და ტექნოლოგიური დამუშავების მიმართულებით ფუნდამენტური ხასიათის კვლევების წარმოება და, ასევე, ასეთი ფუნდამენტური კვლევების საწარმოებლად აუცილებელი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღსაზრდელად შესაბამისი საუნივერსიტეტო პირობების შემზადება.

ამგვარად, ჩემი საკონტრაქტო მიზნებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, გთხოვთ, მომცეთ საშუალება თსუ აკადემიურ საბჭოს წარვუდგე მოხსენებით: ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის შემუშავების მიზნები, პრობლემები და უკვე არსებული შედეგები.

მოხსენებისას, გარდა ისეთი პრობლემატური საკითხისა, როგორცაა ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის შემუშავება, მიმოვიხილავ აგრეთვე ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის სასაფუძვლო საკითხებსა ³⁽ⁱⁱⁱ⁾ და ამ გრამატიკის საფუძველზე შემუშავებულ ისეთ სხვა ქართული ანალოგების არ მქონე საცდელ კომპიუტერულ სისტემებს, როგორცაა:

1. ქართული გრამატიკული მართლმწერი;
2. ქართულ-მათემატიკური ორმხრივ მთარგმნელი;
3. ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელი და შემმოწმებელი;
4. მათემატიკური ენის საშუამავლო მონაწილეობით აგებული ქართული მრავალენოვანი (ქართულ-ინგლისური-გერმანული) ორმხრივ მთარგმნელი;
5. ხმის ჩამდები საშუალებებით აღჭურვილი ქართული მკითხველი;
6. სწავლებისა და თვითსწავლის პრინციპით აგებული ქართული მეტყველების ამომცნობი;
7. ხმოვანი ბრძანებებით მართვისა და ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის ხმით მიღების საშუალებებით აღჭურვილი ქართული საინტერნეტო საძიებო სისტემა. ^{4(iv)}

³ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა არ არის შანიძის გრამატიკის ალტერნატივა. ეს არის ქართული ენის ისტორიულად პირველი მათემატიკური გრამატიკა და იგი იგება ქართული და მათემატიკური ენების შინაარსული ურთიერთმიმართების და ამ ორი ენობრივი სისტემით ინტეგრირებულად მოცემული სააზროვნო სისტემის მათემატიკური თეორიის შემუშავების და, შესაბამისად, ამის საფუძველზე მოსაუბრე ქართული ინტელექტუალური, მათ შორის მთარგმნელობითი უნარებით აღჭურვილი კომპიუტერული სისტემის აგების მიზნით. - სრულად ეს ჩანართი იხილეთ წერილის ბოლოს.

⁴ რომ არა ის 6 წელი, რომლის განმავლობაშიც მე თითქმის სრულად ვიყავი შეზღუდული საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესების წარმოებაში, დღეს ბევრად უფრო სრული სახით იარსებებდა როგორც ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, ასევე ამ თეორიით აგებული ქართული გრამატიკული მართლმწერის, ქართულ-მათემატიკური ორმხრივ მთარგმნელის, ქართულ-ინგლისური-გერმანული ორმხრივ მთარგმნელის, ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელისა და შემმოწმებლის, ხმის ჩამდები საშუალებებით აღჭურვილი ქართული მკითხველის, სწავლებისა და თვითსწავლის პრინციპით აგებული ქართული მეტყველების ამომცნობის, ხმოვანი ბრძანებებით მართვისა და ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის ხმით მიღების საშუალებებით აღჭურვილი ქართული საინტერნეტო საძიებო სისტემების ზემოჩამოთვლილი საცდელი ვერსიები. - ანუ, ასეთ შემთხვევაში, მთელი ქართული საზოგადოება დღეს უკვე ისარგებლებდა ქართული ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ამ აქ ჩამოთვლილი სისტემებით, რომელთა აგება სულ ცოტა 40 წლიანი ისტორიის მქონე დღესაც აქტუალური ქართული პრობლემატიკაა. - სრულად ეს ჩანართი იხილეთ წერილის ბოლოს.

ღრმად პატივცემულო აკადემიური საბჭოს წევრებო, ამ მოხსენების შემდეგ თქვენ მოგეცემათ საშუალება მიიღოთ საფუძვლიანი გადაწყვეტილება და:

1. ან ქართული ენის სრული მათემატიკური და ტექნოლოგიური დამუშავების მიმართულებით აუცილებელი შედეგების მიღწევის მიზნით მხარი დაუჭიროთ თსუ ქართული ენის მათემატიკური დამუშავების ცენტრის ფორმირებას (ცენტრის დებულებას თან ვურთავ წინამდებარეს (იხ. დანართი_1));
2. ანდა აღარ გააგრძელოთ ჩემთან ჯერ კიდევ მოქმედი საუნივერსიტეტო კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, მე მევალება ქართული ენის სრული მათემატიკური და ტექნოლოგიური დამუშავების მიმართულებით ფუნდამენტური ხასიათის კვლევების წარმოება და, ასევე, ასეთი ფუნდამენტური კვლევების საწარმოებლად აუცილებელი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღსაზრდელად შესაბამისი საუნივერსიტეტო პირობების შემზადება.

პატივისცემით, თსუ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქართული ენის მათემატიკური დამუშავების მიმართულებით /კ.ფხაკაძე/

წერილს დანართის სახით თან ახლავს:

1. დანართი_N1 - ამ დანართით წარმოდგენილია თსუ ქართული ენის მათემატიკური დამუშავების ცენტრის დებულება;

2. დანართი_N2 – ამ დანართით წარმოდგენილია ნაშრომი სათაურით „ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“;

კომენტარი: ამ დანართით წარმოდგენილი მასალის საწყის ნაწილში თქვენ ნახავთ იმ მრავალმხრივ მხარდაჭერებს, რაც ქართული ენის დაცვის მიზნით მოქმედ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ წინა წლებში ჰქონდა.

ამ ნაშრომს ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი გაეცნო 2007 წლის სექტემბერში. - მიუხედავად ამისა, მან, 2007 წლის მთელი ხუთი თვე ისე გაატარა, რომ არაფერი არ იღონა მისი დავალებით უნივერსიტეტისათვის სამარცხვინოდ ორგანიზებული საფაკულტეტო განხილვის უარყოფითი შედეგების ფაკულტეტზე გასწორების მიმართულებით. - ამან გამხადა იძულებული და 2007 წლის 24 დეკემბერს თსუ რექტორს შემდეგით მივმართე:

„თხოვნით, რომ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირებისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების შემდგომი აუცილებელი გადრმავეების მიზნით საბოლოოდ გადაგეწყვიტათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საკითხი, მე თქვენ მოგმართეთ ა/წ 22 ივნისს 7379/02 წერილით, რომლის ასლს თან ვურთავ წინამდებარეს. - საკითხი

დღემდე გადაუწყვეტელია, არადა უკვე იწურება მიმდინარე წელი და უნივერსიტეტი 2008 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესშია!

ბატონო რექტორო, იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ლაბორატორიის ფორმირებისთვის აუცილებელი თანხები, მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ვალდებული ვიქნები ბრალი დავდო უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ჯერ ბლოკირებაში, მერე კი მის სრულ ანულირებაში! - შეგახსენებთ, რომ საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივ-ენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს;

**პატივისცემით, ქართული ენის უფლებების დამცველი,
თსუ მკვლევარი /კ. ფხაკაძე/**

P.S.: ბატონო რექტორო, ამ მომართვას თან ვურთავ ვრცელ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის პრობლემატურ ნაშრომს ვრცელი სათაურით “ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად” და ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანისადმი ა/წ 29 ოქტომბერს გაკეთებულ ჩემ ბოლო მიმართვას.”

ის, რომ 2008 წელს, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში, 8 ექსპერტის მონაწილეობით შედგა თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ დახურული საექსპერტო განხილვა, რომელზედაც სრულად დადასტურდა ჩემს მიერ ინიცირებული საკითხის მაღალი საუნივერსიტეტო აქტუალობა, **ჩემი ამ 24 დეკემბრის მიმართვის შედეგია.**

მაგრამ, ჩემი ამ 24 დეკემბრის მიმართვის შედეგს არანაირი შედეგი უნივერსიტეტში ქართული ენის დაცვის მიზნით მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესების დაბრუნების მიმართულებით არ მოყოლია, რისი მიზეზიც არის ის, რომ იმავე საკითხის საფაკულტეტო განხილვის ასეთი სამარცხვინო წარმართვისათვის არანაირი შენიშვნა - ან საყვედურის, ან გაფრთხილების სახით ბ-ნ რ.ბოჭორიშვილს არ მიუღია! - არადა, რა თქმა უნდა, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის მას ან თსუ აკადემიური საბჭოს ან თსუ ადმინისტრაციის ან თსუ სენატის მხრიდან შენიშვნა - ან საყვედურის ან გაფრთხილების სახით უნდა მიეღო.

იმას, რომ ჩემი და ქართული ენის დაცვის მიზნების ასე ფეხებზე დაკიდების გამო,⁵ მას არავინ უსაყვედურა, შედეგად მოჰყვა ის, რომ ამით გათამამებულმა **არად ჩააგდო ჩემი საკითხის ამ დახურული საუნივერსიტეტო განხილვის შედეგები და 2008 წლის 27 ივნისის წერილით თსუ რექტორს იმის მტკიცება დაუწყო, რომ ამ განხილვაზე ის, რაც ამ განხილვით დამტკიცდა, თურმე არ დამტკიცებულა და რომ მე - ერთი ვინმე არადეკვატური ისეთ რამეს ვითხოვდი, რაც მოთხოვნის დაწერამდე თურმე უკვე მქონდა!** – თუმცა კი, არც მაშინ, არც ახლა არაფერს - გარდა თუ არა თსუ-ში ქართული ენის დაცვის მიზნით 2006 წლამდე მიზნობრივ საფეხურზე მდგარი სასწავლო-სამეცნიერო პროცესების დაბრუნებისა, არ ვითხოვდი და არ ვითხოვ!

⁵ მომიტვეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ იმას, რაც ჩემი საკითხის 2007 წლის მართლაცდა სამარცხვინო საფაკულტეტო განხილვის მერე მან გააკეთა, სწორედაც რომ ჩემი და ქართული ენის დაცვის მიზნების ფეხებზე დაკიდება ქვია და მეტი არაფერი!

3. დანართი_N3 - ამ დანართით წარმოდგენილია ბ-ნი რ.ბოჭორიშვილის სადეკანო „მოღვაწეობის“ შედარებით სრული (ანუ არც თუ მთლად სრული!) დოკუმენტური სურათი. ანუ დანართი_3-ით წარმოდგენილია 2007-2010 წლებში რ.ბოჭორიშვილის სადეკანო „მოღვაწეობის“ არასრული დოკუმენტური სურათი, რაც გასრულებულ სახეს, თუ ეს საჭირო გახდა, მიიღებს ნაშრომში სათაურით „ცისფერი მთები - 2“. - ანუ, ამ დანართით წარმოდგენილია ის მიმართვა, რომლითაც 2010 წლის 19 აპრილს მე და ჩემმა მაგისტრანტმა ალექსანდრე მასხარაშვილმა ბატონ რომან ხარბედიას მივმართეთ. - ანუ, ეს ის ჩემთვის მეტად მძიმე პერიოდი იყო, როცა ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი, მიუხედავად 2009 წლის საუნივერსიტეტო კონკურსზე ჩემი ზემოთ უკვე ხაზგასმული გამარჯვებისა, ცდილობდა როგორც ჩემი, ისე ჩემი მაგისტრანტის უნივერსიტეტიდან გარიყვას. - ბატონი რომანისა და, ასევე, სხვა კეთილგანწყობილი საუნივერსიტეტო კადრების ხელშეწყობით მე მაშინ შევძელი ის, რომ რ.ბოჭორიშვილმა ვერ შეძლო ალექსანდრე მასხარაშვილის უნივერსიტეტიდან გარიცხვის პროცესის შედეგობრივი გასრულება. თუმცა, ეს მე დამიჯდა იმის ფასად, რომ იძულებული გავხდი ხელი მომეწერა ჩემთვის კაბალურ საუნივერსიტეტო ხელშეკრულებაზე;

4. დანართი_N4 - ამ დანართით წარმოდგენილია 2014 წლის 14 სექტემბერს ბატონ ალექსანდრე კვიციანიშვილისადმი გაკეთებული ჩემი მიმართვები. ასევე, ამ დანართით წარმოდგენილია 2011 წლის 22 ნოემბერს ბატონი დავით ჩომახიძისადმი გაკეთებული მიმართვა. - ეს ის მიმართვებია, რომელთა შიდა საუნივერსიტეტო განხილვის საფუძველზე გადაწყდა ჩემი დროებითი საუნივერსიტეტო დასაქმება თსუ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად ქართული ენის მათემატიკური დამუშავების მიმართულებით. ამასთან, ამ დანიშვნით მე დამევალა ქართული ენის სრული მათემატიკური და ტექნოლოგიური დამუშავების მიმართულებით ფუნდამენტური ხასიათის კვლევების წარმოება და, ასევე, ასეთი ფუნდამენტური კვლევების საწარმოებლად აუცილებელი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღსაზრდელად შესაბამისი საუნივერსიტეტო პირობების შემზადება, რაც, შემდგომში, ამ მიზნებით მოქმედი საუნივერსიტეტო ცენტრის ფორმირებას გულისხმობდა.

5. დანართი_N5 - ამ დანართით გაწვდით 2012 წლის საუნივერსიტეტო კონკურსზე წარდგენილ საკონკურსო განაცხადის სამოტივაციო წერილსა და სამეცნიერო კვლევების კონცეფციას.

კომენტარი: როგორც ეს ალექსანდრე (სანდრო) გამყრელიძემ მითხრა, ჩემ საკონკურსო განაცხადს არ მიენიჭა პრედენტენტის სტატუსი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩემს მიერ წარდგენილი სილაბუსები არ პასუხობდა საფაკულტეტოდ გაწერილ სასწავლო კურსებს.

არადა, ჩემ საკონკურსო განაცხადში მე ვწერდი „*დაბოლოს, ის, რომ ბუნებრივი ენების ტექნოლოგიების დღეს არსებული მაღალ სტანდარტებთან შედარებით ქართული ენის ტექნოლოგიების ხარისხი და მოცულობა საგანგაშოთ დაბალია, განპირობებულია ქართულისთვის ჩომსკისა და მონტეგიუს ტიპის მათემატიკური გრამატიკული თეორიების არარსებობით, რაც ცხადს ხდის ჩემს მიერ წინა წლებში ქართული ენის მათემატიკური შესწავლის მიზნით ერთხელ უკვე დანერგილი სასწავლო-სამეცნიერო პროცესების გადაუდებელ დაბრუნებას, და იმასაც, რომ ამ 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დანერგილი სასწავლო პროცესების უნივერსიტეტიდან გატანა იყო და არის ქართული ენისა და, შესაბამისად, ქართველი ერის საზიანოდ მიმართული უმძიმესი შეცდომა. - ამგვარად, ამ შეცდომის გამოსწორება და, შესაბამისად, ქართული ენის დაცვის მიზნით თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე აუცილებლად საწარმოებელი სასწავლო-სამეცნიერო პროცესების კვლავ დანერგვა, ჩემი ძირითადი სამოტივაციო საფუძველია.*“

ანუ, - ნახეთ რა ხდება - ზუსტად იმიტომ, რომ ქართული ენის დაცვის მიზნით საწარმოებელი ჩემი სილაბუსებით წარდგენილი სასწავლო კურსები არ არის სასწავლო პროგრამაში, მე ვიღებ მონაწილეობას კონკურსში და საკონკურსო კომისია ზუსტად იმის გამო, რომ ქართული ენის დაცვის მიზნით საწარმოებელი ჩემი სილაბუსებით წარდგენილი სასწავლო კურსები არ არის სასწავლო პროგრამაში, მხსნის კონკურსიდან! - ე.ი. რა - ქართული ენის დაცვის მიზნით საწარმოებელი სასწავლო კურსები არ უნდა იყოს საფაკულტეტო სასწავლო პროგრამაში?! - ცხადია უნდა იყოს.

6. დანართი_N6 - ამ დანართით წარმოდგენილია პროექტი „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“. პროექტი წარდგენილია შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, თუმცა, არანაირი გარანტია იმისა, რომ იქ ეს პროექტი დაფინანსებას მიიღებს, არ არის. - არადა, პროექტი, გამომდინარე მისი ღრმა ქართველოლოგიური - თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობებიდან, არ შეიძლება დაუფინანსებელი დარჩეს.

ჩემი ამ წერილით წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“ – 2009 წელი.
- <http://www.gtu.ge/gltc/doc/stat/kartuli%20enis.pdf> ;
2. „ქართული ენა და ლოგიკა“ (N1) – 2005 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/Jurnali_1_2005.pdf ;
3. „ქართული ენა და ლოგიკა“ (N2) – 2005 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/Jurnali_2_2005.pdf ;
4. „მათემატიკური მეთოდები ენათმეცნიერებაში“ – 2005 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/Partee_GEO.pdf ;
5. „გამოთვლითი ენათმეცნიერების საფუძვლები“ – 2005 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/Hauser_GEO.pdf ;
6. „ქართული ენა და ლოგიკა“ (N3-N6) – 2006-2007 წლები -
- http://gllc.ge/publications/issues/Jurnali_3-6_2006-2007.pdf ;
7. ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები (N1) – 2007 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/saswavlo_unarebi_1_2007.pdf ;
8. III რესპუბლიკური სკოლა სემინარის - „ლოგიკა, ენა, გამოთვლელი“ - მოხსენებები - 2007 წელი -
- http://gllc.ge/publications/issues/11-18.04.2007_LLC.pdf ;
9. „ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“ – 2008 -
- http://gllc.ge/publications/articles/NLP_6.pdf ;
10. რუსთავი 2-ის დილის გადაცემა - 2008 წელი -
- <http://gtu.ge/gltc/links/video.htm> ; <http://gllc.ge/archive.html> (;
11. „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისათვის, ანუ, ქართული ენის და, საზოგადოდ, ენების წინაშე მდგარი საბარიერო მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ“ – 2009 წელი -
- <http://azrebi.ge/index.php?pid=978> ;
12. პირველი არხის დილის გადაცემა - 2010 -
- <http://gtu.ge/gltc/links/video.htm> ;
13. „ქართული ენა და დღეს ინტენსიურად გლობალიზებადი და ტექნოლოგიზებადი სამყარო“ - 2011 წელი -

- <http://gtu.ge/glrc/index.htm> ;

14. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის III საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები (იხ. გვ.59 (იხ. დანართი N3) და გვ.145-154) (2012 წელი) -

- http://rmi.ge/~gmu/III_Annual_Conference/confprogram/Conference2012.pdf .

ღრმად პატივცემულო თსუ აკადემიური საბჭოს წევრებო, ასეთ შემთხვევებში ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე იძულებული ვარ ვთქვა შემდეგი: მოხდა ისე, რომ რაიმე სახის წინა ხედვების, გამოცდილებისა და შედეგების არ არსებობის პირობებში - ფაქტიურად ცარიელი ადგილიდან მომიწია ქართული ენის მათემატიკური თეორიის ანუ ლოგიკური გრამატიკის შემუშავების მიზნით კვლევების წარმოება და ის, რომ დღეს უკვე არსებობს ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის სასაფუძვლო საკითხები, ჩემი ამ პიონერული კვლევების მნიშვნელოვანი შედეგია. ამგვარად, როგორც ქართული ენის ისტორიულად პირველი მათემატიკური გრამატიკის - ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის უკვე შემუშავებული სასაფუძვლო საკითხების ძირითადი ავტორი და, ასევე, როგორც:

1. 2012 წლიდან სტუ მიწვეული სრული პროფესორი და სადოქტორო თემების „ქართული მეტყველების სინთეზი და გამოცნობა“ (დოქტორანტი გ.ჩიჩუა) და „ქართული გრამატიკული მართლმწერი“ (დოქტორანტი მ.ჩიქვინიძე) სამეცნიერო ხელმძღვანელი;
2. 2012 წელს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის III საერთაშორისო კონფერენციაზე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სექციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
3. 2011 წლიდან თსუ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ქართული ენის მათემატიკური დამუშავების მიმართულებით;
4. 2010 წელს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIV გაფართოებულ სხდომებზე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სექციის ხელმძღვანელი;
5. 2010 წლიდან სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი (<http://gtu.ge/glrc/index.htm>);
6. 2009 წელს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIII გაფართოებულ სხდომებზე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სექციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
7. 2008 წლიდან ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ღია ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (<http://gllc.ge/>);
8. 2007 წელს „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
9. 2003-2007 წლებში თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

10. 2006 წელს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის “ქართული ენის ლოგიკა და სასწავლო უნარები“ დამფუძნებელი და რედაქტორი;
11. 2006 წელს ყოველწლიური სამეცნიერო-საგანმანათლებლო გამოცემის „ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები თანამედროვე მათემატიკურ ენათმეცნიერებაში“ დამფუძნებელი და რედაქტორი;
12. 2006 წელს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკის“ ინსტიტუტის „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამაში თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი მიზნების გათვალისწინებით „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო მოდულის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
13. 2004-2006 წლებში თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „მათემატიკის“ ინსტიტუტში თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი მიზნების გათვალისწინებით მოქმედი „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ საბაკალავრო სპეციალიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
14. 2005 წელს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის “ქართული ენა და ლოგიკა“ დამფუძნებელი და რედაქტორი;
15. 2005-2008 წლებში მოქმედი ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სასემინარო კვირეულის - „ლოგიკა, ენა, ინფორმატიკა“ - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
16. 2004 წელს „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;
17. 2003 წელს თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში წინგთა ფონდის - „ლოგიკა, ენა, გამოთვლები“ დამფუძნებელი;
18. 2002-2008 წლებში მოქმედი თსუ სამეცნიერო სემინარის - „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი“ - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი;

ანუ, როგორც მონტეგიუსეული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და ჩომსკისეული გამოთვლითი ლინგვისტიკის სპეციალისტი და ამ სამეცნიერო სფეროს ექსპერტი, ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ მოსაუბრე ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ანუ, რაც ფაქტობრივ იგივეა, ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის დროული ვერ შემუშავების შემთხვევაში, მაღალ სავარაუდოა, რომ ყველაზე ცოტა 5-10 წელიწადში, ყველაზე მეტი კი - 10-15 წელიწადში, ქართულ ენას თითქმის სრულად შეეზღუდოს კულტურული ფუნქციონირების შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი თაობა ისტორიაში ჩაეწერება ქართველთა იმ თაობად, რომელმა თაობამაც ვერ შეძლო ქართული ენისთვის შეენარჩუნებინა მისი კუთვნილი ადგილი კულტურის მატარებელ და მაწარმოებელ ენათა შორის.

კიდევ უფრო გასაგები რომ ვიყო, მოკლედ, იმის შესახებ, თუ რატომ ვაფასებ სხვა ენებთან შედარებით ქართული ენის ტექნოლოგიზების დღევანდელ მოცულობასა და ხარისხს საგანგაშოდ და რატომ მივიჩნევ ამ საგანგაშო ვითარების ძირითად მიზეზად ქართული ენის სრული და ამომწურავი მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიზებისათვის ჩომსკი-მონტეგიუსეული მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით 2006 წლამდე თსუ-ში მიზნობრივ საფეხურზე მდგარი სასწავლო, სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების შეჩერებას:

ანუ, მაშინ როდესაც მთელი რიგი ენებისთვის უკვე შემუშავებულია **საკმაოდ მაღალი ხარისხით მომუშავე კომპიუტერული ტვინი** ანუ ამ ენებში სხვადასხვა ტიპის ტექსტებით მოცემული სხვადასხვა ტიპის პრობლემებისა და ამოცანების ლოგიკურად და სემანტიკურად მაანალიზებელი და გადამჭრელი სისტემები, **რა თქმა უნდა საგანგაშოა**, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს ქართული ენის გრამატიკული მართლმწერი! - არადა, უკვე წლებია, უმეტეს ენებში, კომპიუტერული მართლმწერის პრობლემა თითქმის ამომწურავადაა გადაწყვეტილი! - ანდა, მაშინ როდესაც, უმეტესი ენებისთვის უკვე შემუშავებულია **მაღალი ხარისხით მომუშავე კომპიუტერული ყელი** ანუ ამ ენებში ელექტრონული ტექსტების მკითხველი სისტემები, **რა თქმა უნდა საგანგაშოა**, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს ქართული ტექსტების მაღალი ხარისხით მკითხველი სისტემა! - ანდა, მაშინ როდესაც, მთელი რიგი ენებისთვის უკვე შემუშავებულია **მაღალი ხარისხით მომუშავე კომპიუტერული ყური** ანუ ამ ენებში მეტყველების ამომცნობი სისტემები, **რა თქმა უნდა საგანგაშოა**, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს ქართული მეტყველების ამომცნობი შედარებით მაღალ ხარისხიანი სისტემა! - ანდა, თავიც რომ დავანებოთ ქართულ-მათემატიკურ ორმხრივ მთარგმნელ სისტემას, რაც ზემოდასახელებულ სისტემებთან ერთად ყველა სხვა სახის ქართული ინტელექტუალური სისტემის ასაგებად სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი სისტემაა, **რა თქმა უნდა საგანგაშოა**, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ქართული ხმიდან-ხმაზე მთარგმნელი რაიმე სახის სისტემა, მაშინ როდესაც **მთელი რიგი ენები დღეს ერთმანეთთან საკმაოდ ფართო მოცულობით ურთიერთობენ როგორც ხმიდან-ხმაზე, ისე ტექსტიდან-ტექსტზე მთარგმნელობით ფორმატში!**⁶

გამომდინარე იქიდან, რომ ვერცერთი ეს ზემოაღნიშნული სისტემა ვერ შეიქმნება ბუნებრივი ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების გარეშე, რაც, ცხადია, არ არის არც ერთ-ორ დღეში და არც ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა, უფლება არ მაქვს არსებული ვითარება არ შევაფასო როგორც ძლიერ საგანგაშო! - ამ ყველაფრით მე იმის თქმაც მინდა, რომ ქართული ენის ტექნოლოგიების ამ დღეს არსებული საგანგაშოდ დაბალი მოცულობისა და ხარისხის მიზეზი არის არა ის, რომ ჩვენ ცუდი ლინგვისტები გვყავს ან უუნარო პროგრამისტები,⁷ არამედ ის, რომ ჩვენ არ გვყავს თანამედროვე ჩომსკი-მონტეგიუსეული მათემატიკური (გამოთვლითი) ლინგვისტიკის ის სპეციალისტები, რომელთა მრვალწლიანი თეორიული მოღვაწეობის შედეგია მსოფლიოს სხვადასხვა ენებში ზემოხაზგასმული და დღეს უკვე არსებული მაღალი საფეხურის ტექნოლოგიური სისტემების არსებობა.

⁶ ეს ყველაფერიც რომ არა, **რა თქმა უნდა საგანგაშოა ისიც**, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ დასრულებული სახით ვერ გადაწყდა ქართული ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების ელექტრონულ ფორმატში გადამყვანი სისტემის ანუ **ქართული ანბანური თვალის აგების ამოცანა**, მაშინ როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში უკვე საკმარისი მოცულობითაა გადაწყვეტილი არა მხოლოდ ანბანური, არამედ ბევრად უფრო რთული ობიექტების აღმქმელი, ამომცნობი და ლოგიკურად დამამუშავებელი **კომპიუტერული თვალის აგების პრობლემა!** - და ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ **ქართული კომპიუტერული თვალის აგების ამოცანა სხვა ყველა ზემოწარმოდგენილ ამოცანასთან შედარებით გადასაწყვეტად ნაკლებ რთულია, რადგან მისი გადაწყვეტა ფაქტიურად არ ითხოვს ქართულისთვის რაიმეგვარი სპეციფიკური თეორიის შემუშავებას.**

⁷ პირიქით, ამ მხრივ საამაყოდაც გვაქვს საქმე! - ანუ, რა თქმა უნდა საამაყოდ გვაქვს საქმე ქართული ლინგვისტური სკოლის შედეგებით კლასიკურ ანუ არამათემატიკურ ლინგვისტიკაში. ასევე, ხაზგასასმელია ქართველი პროგრამისტების მაღალი უნარ-შესაძლებლობები, რაც რომ არა, დღეს, ჩვენ, არც ქართული ვიკიპედია გვექნებოდა, არც გუგლი, არც გუგლის ქართული რუკები და არც გუგლის მთარგმნელის ქართული გაფართოება, რომელიც მართალია საკმაოდ უხარისხოდ მუშაობს, მაგრამ ეს არის არა უხარისხო პროგრამული გადაწყვეტის მიზეზით, არამედ ასეთი ტიპის სტატისტიკურ მთარგმნელებში ჩადგმული მთარგმნელი ალგორითმის მიზეზით, რომელიც ალგორითმულად დამუშავებულია და აგებულია ინდოევროპული ტიპის ენებისთვის შემუშავებული მათემატიკური - ალბათური თეორიის საფუძველზე, რაც, ცხადია, ქართული ენის არაინდოევროპულ თავისებურებებს თავს ვერ ართმევს.

კიდევ უფრო მეტად გასაგები რომ ვიყო, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩომსკისეული გამოთვლითი ლინგვისტიკისა და მონტეგიუსეული ბუნებრივი ენების ლოგიკის ფარგლებში გასული საუკუნის 50-70-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარე მათემატიკური კვლევების გარეშე არსად მსოფლიოში არ შექმნილა და ვერც შეიქმნებოდა ის ზემოხაზგასმული მაღალი საფეხურის ენობრივი ტექნოლოგიები, რომელთა არ არსებობა ქართულისთვის ქართულს კულტურული ფუნქციონირების არეალის არსებითი ანუ თითქმის სრული შეზღუდვით ემუქრება!

ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული მაღალტექნოლოგიური პროგრამული სისტემების დღევანდელი არ არსებობის ძირეული მიზეზი (მიზეზები) ჩვენ შემთხვევაში ისაა, რომ:

1. ქართული ენა მისი სრული და ამომწურავი ტექნოლოგიზებისთვის აუცილებელი მათემატიკური თვალსაზრისებით სრულიად არასაკმარისადაა შესწავლილი, რაც ამ მიზნით აუცილებელი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მძაფრი დეფიციტითაა განპირობებული (თუმცა, საბედნიეროდ, პროცესის დასაწყებად აუცილებელი კადრები დღეს უკვე არის!);

2. ზემოაღნიშნულის მიზეზი კი ისაა, რომ, საქართველოში, დღემდე ვერ მოხერხდა დასავლეთში მათემატიკური ლოგიკისა და ფორმალური ენების და ავტომატების თეორიის საფუძველზე 1950-1970 წლებში უკვე მყარად ფორმირებული ჩომსკისეული მათემატიკური ანუ გამოთვლითი ლინგვისტიკისა და მონტეგიუსეული ბუნებრივი ენების ლოგიკის ფორმირება;

3. ზემოაღნიშნულის მიზეზი კი ისაა, რომ დღესაც კი, საქართველოს არცერთ უნივერსიტეტში არ მიმდინარეობს სამსაფეხურეობრივი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სასწავლო პროცესი მონტეგიუსეულ ბუნებრივი ენების ლოგიკასა და ჩომსკისეულ მათემატიკურ ანუ გამოთვლით ლინგვისტიკაში, რის გარეშეც, ცხადია, შეუძლებელი იყო, არის და იქნება ქართული ენის ტექნოლოგიზებისთვის აუცილებელი სამეცნიერო კადრების აღზრდა.

ამგვარად, სრულიად ცხადია, რომ 2006 წლამდე ქართული ენის სრული და ამომწურავი მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიზების მიზნით თსუ-ში მიმდინარე სასწავლო პროცესის სრული გაუქმება და, შესაბამისად, უნივერსიტეტის დატოვება ქართული ენის სრული და ამომწურავი მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიზებისათვის აუცილებლად საწარმოებელი სასწავლო პროცესის გარეშე იყო და არის დაუშვებელი!

რაც შეეხება რ.ბოჭორიშვილის იმ ქმედებებს, რითაც მან ხელი შეუშალა ფაკულტეტზე ამ გაუქმებული სასწავლო პროცესების დროულ დაბრუნებას, უკვე არის არა შეცდომა, არამედ ქართული ენისა და, შესაბამისად, მთელი ქართველი ერის საზიანოდ მიმართული დანაშაული, რომელიც თანამდებობით მასზედ დაკისრებული მოვალეობების არშესრულებითა და უფლებების გადაჭარბებით გამოიხატა.

ხედვას იმის თაობაზე, რომ „ძალა ერთობაშია“, არსებითად უპირისპირდება მოწოდება „სამართლიანობა და ერთობა“, რადგან უსამართლო ერთობა არის არა ძალა, არამედ უძალობა!

ამიტომ, ანუ იმისათვის, რომ უნივერსიტეტში იყოს ქვეყნისა და ერის მომავლის სამსახურში მყოფი სამართლიანობა და ერთობა, გთხოვთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და აკადემიური ეთიკით განსაზღვრული ქვეყნის ნორმების თანახმად შეფასდეს ბატონ რ.ბოჭორიშვილს ის ქმედებები, რის გამოც წინა წლებში მის მიერ წარმოებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას მე ქართული ენის დაცვის მიზნების წინააღმდეგ მიმართული „ანტიეროვნული საფაკულტეტო ტირანია“ ვუწოდებ! - ისევ ვიმეორებ, კოჰაბიტაცია ანუ თანაშრომლობა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ არა ქართული მიზნების საზიანოდ.

კ.ფხაკაბე,

ⁱ როგორც ჩემ წარმოჩენას უკვე წლებია ცდილობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ბატონი რამაზ ბოჭორიშვილი. ასე მაგალითად, 2008 წლის 27 ივნისს ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი თსუ იმდროინდელ რექტორს შემდეგს წერდა: „ბ-ნ კ.ფხაკაძის მიერ რეალური ვითარების არაადეკვატურ შეფასებას, შესაძლოა, ხელი შეუწყო სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დასკვნის ზოგიერთმა არაზუსტმა ფორმულირებამ.“

არადა, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის 2008 წლის 12 თებერვლით დათარიღებულ ამ დასკვნაში შემდეგი ეწერა: „ბატონ კ.ფხაკაძის წერილში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით (24.12.2007წ) გაცნობებთ, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში მოეწყო შეხვედრა კ.ფხაკაძესთან, რომლის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი 8 ნაბეჭდი გამოცემა აღნიშნულ თემატიკაზე. ასევე მიზნობრივი პროგრამა “კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში”. ექსპერტების მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება უნივერსიტეტში მათემატიკური ლინგვისტიკის და ბუნებრივი ენათა ლოგიკის უფრო ფართო სასწავლო კურსით წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ. ზემოთქმული მოსაზრება გაზიარებული იქნა ფართო საინფორმაციო-პრაქტიკულ სემინარზე “ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის აქტუალური საკითხები”, რომელიც ჩატარდა ა.წ. 7 თებერვალს ივ.ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში. სემინარს ესწრებოდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების წამყვანი აკადემიური პერსონალი: ო.ფურთუხია, დ.გორდეზიანი, დ.ჯაიანი, გ.ბარელაძე, კომპიუტერული მეცნიერებათა მიმართულებიდან ჯ.ანთიძე, ასევე არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ მიერ ასევე მხარდაჭერილი იქნა მათემატიკის ამ აქტუალური მიმართულების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში უფრო ვრცლად წარმოდგენის აუცილებლობა“

ეს სემინარი მე ჩემ იმ სტუდენტებთან ერთად ჩავატარე, რომლებიც ითხოვდნენ 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დაფუძნებული და 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზების აღდგენას.

ამგვარად, როგორც მათ, ასევე მე, კარგად გვახსოვს განხილვის ორგანიზატორის ბ-ნი ნ.სურგულაძის ღია და საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ უკლებლივ ყველა ექსპერტმა მხარი დაუჭირა უნივერსიტეტში ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სასწავლო, სამეცნიერო და სასწავლო სამეცნიერო პროცესების აქტუალობას.

ასევე, კარგად გვახსოვს, ამ სემინარის დამთავრებისთანავე როგორ მოგვილოცეს წარმატება გმი-ინსტიტუტის უწინდელმა დირექტორმა ბ-ნ დ.გორდეზიანმა და გმი-ის ახლანდელმა დირექტორმა ბ-ნ დ.ჯაიანმა.

(იმის თაობაზე, თუ მიუხედავად აქ აღნიშნულისა, 2009 წლის თებერვალში, იმის შიშით, რომ ინსტიტუტს პრობლემები არ შექმნოდა, როგორ უარით უპასუხა ბატონმა გია ჯაიანმა ჩემ საკონკურსო განაცხადს, მოგვიანებით, თუ ეს საჭირო გახდა, უფრო ვრცლად ვიტყვი. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, აქვე ხაზგასმით მინდა გავიხსენო ამ საინსტიტუტო კონკურსის ერთი დეტალი:

მას შემდეგ, რაც კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ჩემთვის მეტად პატივსაცემმა პიროვნებამ - ბატონმა თენგიზ მეუნარგიამ, გულწრფელად გვითხრა, რომ ჩემთან ანუ ამ სალაბორატორიო განაცხადთან დაკავშირებით ეს უარყოფელი გადაწყვეტილება მიიღო არა კომისიამ, არამედ პირადად თავად ბატონმა გიამ. ბატონმა გიამ ასევე გულწრფელად გვითხრა, რომ ამ სალაბორატორიო განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული ინსტიტუტს პრობლემები შექმნოდა. - ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს ყველაფერი ითქვა ჩემი მაშინ უკვე მაგისტრანტებისა და, შესაბამისად, ახალგაზრდა კოლეგების ალექსანდრე მასხარაშვილისა და

ლაშა აბზიანიძის თანდასწრებით და ისიც, რომ ბატონი გიას მიერ ნახსენები პრობლემები, რაც ინსტიტუტს შეიძლება შეექმნოდა, ცხადია, ინსტიტუტს შეიძლება შეექმნოდა ბ-ნი რ.ბოჭორიშვილის მხრიდან.

კიდევ უფრო გასაგები რომ იყოს, რა მოხდა გმი-ის 2009 წლის კონკურსზე და როგორ დავრჩი იმ ინსტიტუტის კედლებს მიღმა, სადაც 20 წლის განმავლობაში ვეწეოდი ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას და სადაც 2003 წელს ქართული ენის დაცვის მიზნით ჩემს მიერვე შემუშავებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა ჩემი ხელმძღვანელობითვე ცალკე საკვლევ საინსტიტუტო თემად გამოჰყვეს, ვაკეთებ ციტირებას ჩემი ამ 2009 წლის საკონკურსო განაცხადის იმ ნაწილისა, რომლითაც ბატონ გია ჯაიანს, როგორც ინსტიტუტის დირექტორს, შემდეგ ვწერდი:

„ბატონო გია, გთხოვთ, იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რაც უნივერსიტეტის დაფინანსებით ინსტიტუტს მიეცა, ერთი საშტატო ერთეულით გადაწყვიტოთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ ლაბორატორიის დაფინანსების საკითხი. კერძოდ, გთხოვთ, ინსტიტუტის ფარგლებში დადებითად გადაწყვიტოთ ზემოხსენებული ლაბორატორიის დაფინანსების საკითხი შემდეგი საშტატო განაწილებით: 1. კ. ფხაკაძე, ლაბორატორიის ხელმძღვანელი 0. 25 საშტატო დაფინანსებით (იხ. დანართი1); 2. გ. ჩიჩუა, ლაბორატორიის წევრი 0. 25 საშტატო დაფინანსებით (იხ. დანართი2); 3. ა. მასხარაშვილი, ლაბორატორიის წევრი 0. 25 საშტატო დაფინანსებით (იხ. დანართი3); 4. ლ. აბზიანიძე, ლაბორატორიის წევრი 0. 25 საშტატო დაფინანსებით (იხ. დანართი4); 5. კ. გაბუნია, ლაბორატორიის წევრი საზოგადოებრივ საწყისებზე (იხ. დანართი5). - საკითხის დადებითი გადაწყვეტა, ცხადია, შეფასდება აქტუალური საუნივერსიტეტო თემატიკის უნივერსიტეტში დაბრუნებისა და 2003-2007 წლებში ფინანსირებადი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლავ საუნივერსიტეტო დაფინანსების ქვეშ მოქცევის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად.“ - შეიძლება ვცდები, მაგრამ მე დღესაც ღრმად მწამს, რომ ბატონი გია, რომ არა შიში იმისა, რომ ინსტიტუტს რ.ბოჭორიშვილის მხრიდან პრობლემები შეექმნებოდა, ჩემ ამ საკონკურსო განაცხადს უარს არ ეტყოდა.)

აი ეს არის ბ-ნი რ.ბოჭორიშვილის სახე! - სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა - 2008 წლის 27 ივნისის წერილით ზემოხსენებულ საუნივერსიტეტო განხილვაზე კიდევ ერთხელ ღიად და საჯაროდ დადასტურებული ჩემი თემატიკის აქტუალობის იგნორირება და გაზაიბურება დაიწყო და თან, გადაწყვიტა, ეს გაეკეთებინა ისევ და ისევ იმ ხალხის ხელით, რომლებმაც მანამდე არაერთხელ დამიჭირეს მხარი და არაერთხელ გაიხარეს ჩემთან ერთად ქართული ენის დაცვის მიზნებით დატვირთული ჩემი თემატიკის წარმატებით.

გარდა აღნიშნულისა, რ.ბოჭორიშვილის ამ 2008 წლის 27 ივნისის წერილს ასე დეტალურად იმიტომაც ვეხები, რომ ამ წერილით მან ხაზი გადაუსვა 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის თაობაზე 2006 წლის 7 აგვისტოს ჩემს მიერ გაკეთებული სააპელაციო განაცხადით დაწყებულ და, თუ ობიექტურად შევაფასებთ, ჩემი და ჩემი საუნივერსიტეტო თემატიკის სრული გამარჯვებით დასრულებულ სააპელაციო პროცესს.

ანუ, მიუხედავად იმისა, რომ შიდა საუნივერსიტეტო სააპელაციო პროცესის ფარგლებში ორგანიზებული დახურული საექსპერტო განხილვის გავლით მე დავადასტურე 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის იმ გადაწყვეტილების არამართებულობა, რომლის თანახმადაც გაუქმდა 2004-2006 წლებში ჩემს მიერ ქართული ენის დაცვის მიზნებით დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზები, რ.ბოჭორიშვილმა, მისი ამ 2008 წლის 27 ივნისის წერილით, მე და ქართული ენის დაცვის მიზნით დატვირთული ჩემი საუნივერსიტეტო თემატიკა ანუ ქართული ენის ტექნოლოგიების მიზნით ბუნებრივი ენების

ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით აუცილებლად საწარმოებელი სასწავლო ხაზები კვლავ უნივერსიტეტის მიღმა დაგვტოვა.

მისი ამ ქმედებით, ერთი მხრივ, უხეშად დაირღვა ჩემი, როგორც ეროვნული მიზნებით მოქმედი მკვლევრის დასაქმებითი უფლებები, მეორე მხრივ, უხეშად დაირღვა იმ სტუდენტების სასწავლო უფლებები, რომლებიც 2006 წლიდან მოყოლებული ჩემთან ერთად ზრუნავდნენ ქართული ენის დაცვის მიზნით 2004-2006 წლებში მოქმედი სასწავლო პროცესების თსუ-ში დაბრუნებაზე, მესამე მხრივ კი, ამით **დაირღვა ქართველი ერის უფლება იმოქმედოს ქართული ენის დაცვის მიმართულებით.**

ⁱⁱ დანართი_2-ით წარმოდგენილი მასალის საწყის ნაწილში თქვენ ნახავთ იმ მრავალმხრივ მხარდაჭერებს, რაც ქართული ენის დაცვის მიზნით მოქმედ ამ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას წინა წლებში ჰქონდა. - ამასთან, მთლიანობაში, ამ დანართით წარმოდგენილია დოკუმენტური დასაბუთება იმისა, თუ როგორ გააბაიბურეს პროფესორებმა კ.გელაშვილმა და გ.სირბილაძემ ქართული კულტურული თვალსაზრისებით ეს მეტად მნიშვნელოვანი მიზნობრივი პროგრამა.

კერძოდ, კ.გელაშვილმა და გ.სირბილაძემ, 2007 წლის 24 ივლისიდან 3 აგვისტომდე მათ მიერვე ორგანიზებულ განხილვაზე ისე უარყვეს თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის “კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ აქტუალობა, რომ თავად ეს პროგრამა არც ნახეს და არც სხვებს ანახეს. - **ეს იყო და არის არა უბრალო გადაცდომა, არამედ პირადი ინტერესების წინ წამოწევის ხარჯზე საზოგადო ინტერესების უხეში იგნორირება!**

მათ ამით საუნივერსიტეტო აქტუალობა არ დაუდასტურეს ქართული ენის დაცვის მიზნებით მოქმედ და წინა წლებში მრავალმხრივ მხარდაჭერილ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამას, რითაც მათ მე წამართვეს ათწლიანი საქმიანობით დამსახურებულად მოპოვებული ის საუნივერსიტეტო გარემო, რომელიც ჩემთვის აუცილებელია არა პირადი დასაქმებითი თვალსაზრისით, არამედ ქართული ენის კულტურული ფუნქციების დაცვის სამსახურში ჩემი ყოფნის აუცილებლობის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, წარმოდგენილი მასალით დოკუმენტურად დასტურდება ისიც, რომ 2007 წლის 5 ივლისს ბ-ნ რ.ბოჭორიშვილი სრულად იყო ინფორმირებული მისი დავალებით ორგანიზებულ ამ სამარცხვინო „განხილვაზე“ დაშვებული უხეში დარღვევების თაობაზე და ისიც, რომ მან, ნაცვლად იმისა, რომ ჩემი თხოვნის შესაბამისად, ორგანიზება გაეკეთებინა საკითხის განმეორებითი განხილვისთვის, დრო გაჭიმა და 2007 წლის ბოლოს დამასრულებელი წერტილი დაუსვა თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის “კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ 5 წლიან მეტად წარმატებულ ბიოგრაფიას.

მისი ამ ქმედებით, ბ-ნმა რ.ბოჭორიშვილმა სრულად დაასაბუთა, რომ ის იყო და არის ქართული ენის დაცვის მიზნით მოქმედი თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის ზემოხსენებული სამარცხვინო საფაკულტეტო განხილვის ძირითადი ორგანიზატორი.

ამასთან, ვფიქრობ, მისი ამგვარი ქმედების მიზანი იყო მაღალკონკურენტულ საუნივერსიტეტო გარემოში ჩემი, როგორც კონკურენტის, მოშორება, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ვერასდროს მიაღწევდა ისეთი მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შედეგებს, როგორც მე უკვე მქონდა მაშინ (საქმე ისაა, რომ 2007 წელს მე უკვე შემუშავებული მქონდა ქართული ენის ისტორიულად პირველი მათემატიკური თეორიის ანუ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძველმდებრითი საკითხები).

უფრო მეტიც, 2008 წლის 27 ივნისის იმ უკვე ხსენებული წერილით, რომლითაც **ბ-ნმა რ.ბოჭორიშვილმა ჩემს მიერ მოგებული წელიწადნახევრიანი სააპელაციო პროცესი ერთ დღეში**

გაანულა კ.გელაშვილისა და გ.სირბილადის მიერ ჩემი სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის სამარცხვინოდ ორგანიზებული განხილვის დასკვნითი ოქმი ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენა. - ეს იმას, რომ ეს სამარცხვინო „განხილვა“ თავის დროზე სწორედ რ.ბოჭორიშვილის გეგმების და მიზნების შესაბამისად წარიმართა, სრულად ასაბუთებს. - ფაკულტეტის დეკანობა ამ სამსახურებრივ პოზიციაზე მყოფს კი არ ათავისუფლებს, პირიქით აკისრებს პასუხისმგებლობას უმწიკვლოდ აღასრულოს სადეკანო ვალდებულები! - ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი კი, ჩემთან და ქართული ენის დაცვის მიზნებთან მიმართებაში არასდროს თავის სადეკანო ვალდებულებებს არ ასრულებდა.

ⁱⁱⁱ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა არ არის შანიძის გრამატიკის ალტერნატივა. ეს არის ქართული ენის ისტორიულად პირველი მათემატიკური გრამატიკა და იგი იგება ქართული და მათემატიკური ენების შინაარსული ურთიერთმიმართების და ამ ორი ენობრივი სისტემით ინტეგრირებულად მოცემული სააზროვნო სისტემის მათემატიკური თეორიის შემუშავების და, შესაბამისად, ამის საფუძველზე მოსაუბრე ქართული ინტელექტუალური, მათ შორის მთარგმნელობითი უნარებით აღჭურვილი კომპიუტერული სისტემის აგების მიზნით.

ანუ, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, როგორც მიზნობრივად, ასევე მეთოდურად, განსხვავდება შანიძის გრამატიკისგან, რაც კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რომ ეს გრამატიკები არ შეიძლება ერთმანეთის ალტერნატივად განვიხილოთ.

ხაზგასმას, რომ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა ქართული ენის ისტორიულად პირველი მათემატიკური გრამატიკაა, ვაკეთებ საკითხის ფაქტობრივი ვითარებისა და მნიშვნელობის მძაფრად წინ წამოწევის მიზნით, რადგან, ერთი მხრივ, ჩემამდე არცერთ სხვა მკვლევარს ბუნებრივი ქართული ენით ბუნებრივადვე არსებული სააზროვნო სისტემა თანამედროვე მათემატიკური - ლოგიკური მეთოდებით არ უკვლევია, მეორე მხრივ კი, სხვა ენებთან შედარებით ქართული ენის ტექნოლოგიზების საგანგაშოდ დაბალი მოცულობისა და ხარისხის ძირითადი მიზეზი სწორედ ქართული ენისა და, შესაბამისად, ქართული ენით მოცემული სააზროვნო სისტემის თანამედროვე ტიპის მათემატიკური გრამატიკის არ არსებობაა.

^{iv} რომ არა ის 6 წელი, რომლის განმავლობაშიც მე თითქმის სრულად ვიყავი შეზღუდული საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო-სამეცნიერო პროცესების წარმოებაში, დღეს ბევრად უფრო სრული სახით იარსებებდა როგორც ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, ასევე ამ თეორიით აგებული ქართული გრამატიკული მართლმწერის, ქართულ-მათემატიკური ორმხრივ მთარგმნელის, ქართულ-ინგლისური-გერმანული ორმხრივ მთარგმნელის, ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელისა და შემმოწმებელის, ხმის ჩამდები საშუალებებით აღჭურვილი ქართული მკითხველის, სწავლებისა და თვითსწავლის პრინციპით აგებული ქართული მეტყველების ამომცნობის, ხმოვანი ბრძანებებით მართვისა და ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის ხმით მიღების საშუალებებით აღჭურვილი ქართული საინტერნეტო საძიებო სისტემების ზემოჩამოთვლილი საცდელი ვერსიები. - ანუ, ასეთ შემთხვევაში, მთელი ქართული საზოგადოება დღეს უკვე ისარგებლებდა ქართული ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ამ აქ ჩამოთვლილი სისტემებით, რომელთა აგება სულ ცოტა 40 წლიანი ისტორიის მქონე დღესაც აქტუალური ქართული პრობლემატიკაა

ანუ, იმით, რომ ამ სისტემების ფართოდ გამოყენებადი ვერსიების ნაცვლად დღეს არსებობს მათი მხოლოდ საცდელი ვერსიები, პირდაპირი ზიანი მიადგა ქართულ ენის კულტურული ფუნქციების დაცვის მიზნებს, რისი ძირითადი მიზეზიც 2007-2010 წლებში ამ მიზნების წინააღმდეგ მოქმედი ბ-ნი რ.ბოჭორიშვილია. - აქვე, მოკლედ, 2009 წლის საუნივერსიტეტო კონკურსში ჩემი იმ ჩემთვის მეტად საამაყო და ღირსეული გამარჯვების შესახებ, რომელიც,

შემდგომ, ისევ და ისევ ბ-ნი რ.ბოჭორიშვილის „მოღვაწეობით“ განუღდა: კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის საუნივერსიტეტო კონკურსზე განაცხადი ასისტენტ პროფესორის პოზიციაზე წარვადგინე, **საკონკურსო კომისიამ, რომელსაც ბატონი ელიზბარ ნადარაია ხელმძღვანელობდა, რეალურად შეაფასა რა ჩემი მონაცემები და საუნივერსიტეტო რეალობა ანუ ის, რომ „მათემატიკის“ 4 მაგისტრანტიან სამაგისტრო პროგრამაში ორი მაგისტრანტის ხელმძღვანელი მე ვიყავი და ასევე ის, რომ 2004-2006 წლებში ჩემს მიერ დაფუძნებული და 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზების საუნივერსიტეტო აქტუალობა უკვე დასაბუთებული იყო, ნაცვლად ასისტენტ პროფესორის პოზიციისა, ჩემზე გააკეთა ასოცირებულ პროფესორზე მიწვევის რეკომენდაცია.** - ამის თაობაზე, 2009 წლის 13 სექტემბერს რ.ბოჭორიშვილს შემდეგ ვწერდი:

„მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო განაცხადით მხოლოდ ასისტენტ-პროფესორის პოზიციას ვითხოვდი, საკომისიო დადგენილებით (იხ. დანართი) მე მომეცა რეკომენდაცია კონტრაქტის წესით მიწვეული ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, რითაც, ცხადია, სრულად იქნა გათვალისწინებული და მხარდაჭერილი უმნიშვნელოვანესი ეროვნული მიზნებით განსაზღვრული ჩემი საკონკურსო სამოტივაციო საფუძვლები, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს უღრმეს პატივისცემას ასეთი უპრეცედენტო საკომისიო მხარდაჭერისათვის! - გარდა ამისა, გატყობინებთ, რომ მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების ქვემიმართულებით მე ვერ მხოლოდ მიმდინარე 2009-2010 სასწავლო წელს ჯამში 70 კრედიტანი აკადემიური დატვირთვა მიგროვდება (ორი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელობა = 60 კრედიტს და ამ მაგისტრანტების მიერ არჩეული ორი სამაგისტრო კურსი = 10 კრედიტს), რაც მთლიანობაში არა თუ უტოლდება, არამედ აჭარბებს კიდევ ასოცირებული პროფესორის 6 სემესტრიან აკადემიურ დატვირთვას! - ამასთან, გასათვალისწინებელია აგრეთვე ახლადფორმირებული ინტერდისციპლინური მიმართულების შემდგომი განვითარების პერსპექტივები: კერძოდ, წლების განმავლობაში უკვე არაერთხელ არის დასაბუთებული ის, რომ უნივერსიტეტში ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური (გამოთვლითი) ლინგვისტიკის მიმართულებით საბაკალავრო მოდულის, ინტერდისციპლინური და ინტერფაკულტატური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაფუძნებას „**მალიან დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება**“ (იხ. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი 1397/08 – 04.08.2008.). გასათვალისწინებელია აგრეთვე 2003-2007 წლებში ფინანსირებადი თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის („კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“) ზოგადქართული მნიშვნელობების კვლევითი მიზნების გათვალისწინებით 2004-2006 წლებში ჩემს მიერვე თსუ-ში დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზების თსუ-ში დაბრუნებისა და „**მათემატიკური ლინგვისტიკის და ბუნებრივ ენათა ლოგიკის უფრო ფართო სასწავლო კურსით წარმოდგენის**“ აუცილებლობა (იხ. თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი 2687/02 - 15.02.2008). - ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დროულად უზრუნველყოთ N2 საკონკურსო ოქმით ჩემთან დაკავშირებით გაკეთებული საკომისიო რეკომენდაცია. - ასეთ შემთხვევაში, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ კონსტრუქციულ თანამშრომლობას ახლადფორმირებული ინტერდისციპლინური მიმართულების შემდგომი განვითარების მეტად მნიშვნელოვანი პერსპექტივების გათვალისწინებით.“

ის, რომ ზემოციტირებულ ჩემ მეტად კონსტრუქციულ მიმართვაში წარმოდგენილ არსებით გარემოებათა მიუხედავად რ.ბოჭორიშვილმა არ უზრუნველყო N2 საკონკურსო ოქმით ჩემთან დაკავშირებით გაკეთებული საკომისიო რეკომენდაცია და **კონტრაქტის წესით არ მიმიწვია ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე**, კიდევ ერთი ცხადი დასტურია იმისა, რომ საწინამ რ.ბოჭორიშვილი საფაკულტეტო მართვის სადავეებთან არის, ერთადერთი გზა ჩემი და ქართული

ენის დაცვის მიზნით მოქმედი ჩემი საუნივერსიტეტო თემატიკის ფაკულტეტზე დაბრუნებისა არის თსუ აკადემიური საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლის მიღების თაობაზეც თხოვნითაც წინამდებარე წერილით მოგმართავთ.

ამასთან, დანართი_3-ში იხილეთ, როგორ მოქმედებდა ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი 2010 წლის გაზაფხულის სემესტრში და როგორ ცდილობდა ცვლილებები შეეტანა 2008-2010 წლების „მათემატიკის“ სამაგისტრო პროგრამაში, რათა გაეუქმებია იქ არსებული ჩემი სამაგისტრო კურსები და, ასევე, იქ უკვე ჩემი ხელმძღვანელობით სანახევროდ გასრულებული სამაგისტრო თემები. ამასთან, ამას ის აკეთებდა ერთი მიზნითა და ერთი მიზეზით:

მიზანი იყო ის, რომ შეექმნა ჩემს ზემოთ ციტირებულ მიმართვაში აღწერილი ფაქტობრივი ვითარებისგან განსხვავებული ახალი ფაქტობრივი ვითარება და ამ გზით გაემართლებინა ჩემი საუნივერსიტეტო დაუტვირთაობით ჩემზე რეკომენდირებული ასოცირებული პროფესორის კონტრაქტის არშემოთავაზება;

მიზეზი იყო ის, რომ მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სისტემატიურად არღვევდა საუნივერსიტეტო წესდებებსა და ადმინისტრაციული ქცევის ნორმებს, არანაირი შენიშვნა, იმის თაობაზე, რომ ასე არ შეიძლება, არავის არ მიუცია.

ვმეორდები, მაგრამ, ამასთან, ანუ ამ ყველაფერთან ერთად, ის, რომ დღეს ბ-ნი რ.ბოჭორიშვილი ფაკულტეტის არჩეული დეკანია, ჩემთვის კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რომ ერთადერთი გზა იმისა, რომ მის სადეკანო ფაკულტეტზე დაბრუნდეს ქართული ენის დაცვის მიზნით იქ 2006 წლის კონკურსამდე მიზნობრივ საფეხურზე მდგარი სასწავლო-სამეცნიერო პროცესი, არის აკადემიური საბჭოს ის გადაწყვეტილება, რის მიღებასაც მე თქვენ ამ მომართვით გთხოვთ და რისი განსჯისა და უარყოფის უფლება ფაკულტეტის დეკანს აღარ ექნება. - ყველა სხვა შემთხვევაში, მე სხვა გზა გარდა თუ არა ქართული ენის დაცვის მიზნებისადმი თსუ-ში გაბატონებული გულგრილი დამოკიდებულებების სასამართლო და საზოგადოებრივი განსჯის თემად ქცევისა, არ მრჩება.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს წერილი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ დროით მეტად შეზღუდულ ვადებში დაიწერა, გთხოვთ, გაგებით მოეკიდოთ მასში შესაძლოა არსებულ მექანიკურ ტექსტუალურ შეცდომებს. - უღრმესი პატივისცემითა და გულწრფელი საახალწლო სურვილებით - კ.ფხაკაძე.